

მორალური ზიანის ანაზღაურება ქართული სამართლის მიხედვით და  
სასამართლო პრაქტიკა

ქეთევან მეზვრიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უჩა თოდუა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: 23.06.2015

ქეთევან მეზვრიშვილი

## აბსტრაქტი

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არის უმაღლესი ღირებულება, რომელსაც აღიარებს ყველა განვითარებული და დემოკრატიული სახელმწიფო. ამ უფლებების აღიარება და შემდგომ მისი ეფექტური დაცვის მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებაა. ამ უფლებების რელიზების გარეშე ინდივიდი ვერ შეძლებს საზოგადოების სრულფასოვნად წევრად იგრძნოს თავი.

საქართველოს კონსტიტუცია სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს შორის ასევე იცავს ისეთ არაქონებრივ უფლებებს, როგორცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი, ღირსება, სიტყვის, აზრის თავისუფლება და სხვა. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებების დაცვას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც, რომელიც ახდენს მორალური ზიანის, როგორც ინსტიტუტის აღიარებას და გვთავაზობს მისი დაცვისა მექანიზმებს.

მორალური ზიანის ინსტიტუტს ყველა განვითარებული, დემოკრატიული ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ცნობს და აღიარებს. მისი რეგულირება ხდება ქართული სამართლითაც. კვლევის საგანი შერჩეულია მორალური ზიანის ანაზღაურებისას საკანონმდებლო დონეზე და სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრობლემების აქტუალურობიდან გამომდინარე. მიმდინარე ნაშრომი ეხება მორალურ ზიანს, კერძოდ მორალური ზიანის ანაზღაურებას. წარმოვაჩენ, ერთის მხრივ, მორალური ზიანის არსს ქართულ სამართლებრივ სისტემაში და მისი რეგულირების მიმოხილვას, მეორეს მხრივ, მორალური ზიანის ანაზღაურებას, მისი მოთხოვნის ფარგლებსა და საფუძვლებს, ასევე გთავაზობთ ზიანის ანაზღაურებისას ოდენობის განსაზღვრის კანონით, სამართლებრივ დოქტრინითა და სასამართლო პრაქტიკით დადგენილ კრიტერიუმებს. ნაშრომში ასევე მიმოვიხილე მორალური ზიანის მტკიცების ტვირთის საკითხი. კვლევა მოიცავს სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვას მორალურ ზიანთან და მისი ოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით. ნაშრომი ეხება ასევე მორალური ზიანის

ანაზღაურებასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკას, ქვეყნების მიდგომას და ტენდენციებს ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. საკანონმდებლო რეგულირების, სასამართლო პრაქტიკისა და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვის შემდეგ ნაშრომი გვთავაზობს ასევე გარკვეულ საკითხებთან მიმართებით რეკომენდაციებსაც.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: მორალური ზიანი, მორალური ზიანის ანაზღაურება, ოდენობა.

## Abstract

Human rights and freedoms are the highest value, which is recognized by all developed and democratic countries. State acknowledges these rights and establishes effective protection mechanisms. An individual will not feel himself as a valuable member of society without realization of his rights.

Constitution of Georgia, beside other fundamental rights, protects such non-pecuniary rights as life, health, honor, dignity, freedom of speech, freedom of expression and others. Georgian civil code serves the protection of rights acknowledged by constitution and offers protection mechanisms for moral damage.

Moral damage, as an institution, is recognized by almost all developed and democratic legal system, it is regulated by Georgian legislation as well. The object of my research was chosen because of problems on legislative and practical level regarding to moral damage. The essay deals with moral damage, particularly compensation of moral damage, on the one hand I'll present the essence of moral damage in Georgian legislative system and review legal regulation of it, on the other hand I'll discuss requirements and basis of compensation, also essay consists precedentially, legally and doctrinally established criterias for determination of amount of moral damage. The paper also reviews the issue of burden of proof in moral damages. The study includes a review of the case law in respect of non-pecuniary damage and the determination of the amount. The paper also refers to the international practices and tendencies in respect of determination of amount. Beside legal analyzes, national case law and international practice reviews, paper also provides recommendations in some areas.

Key words: moral damage, compensation of moral damages, the amount.